საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №32
2021 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-10 მუხლის შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

„მუხლი 10^1. შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდების ტარიფები

1. ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების დროებითი ტარიფები:

ა)	3,3-6-10 კილოვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი):		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	18.136 თეთრი/კვტსთ;
ბ)	220/380 ვოლტი (მცირე საწარმოები):		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	17.072 თეთრი/კვტსთ;

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის” აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

გ.ა)	101 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	4.453 თეთრი/კვტსთ;
გ.ბ)	101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	7.853 თეთრი/კვტსთ;
გ.გ)	301 კვტსთ-დან და მეტი:		
	2021 წლის 1 ივლისიდან 2022 წლის 1 იანვრამდე	-	11.653 თეთრი/კვტსთ.“.

2. 10^1 მუხლის შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი შინაარსის 10^2 მუხლი:

„მუხლი 10^2. საბოლოო მომხმარებლის ტარიფი

შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიისთვის“ საბოლოო მომხმარებლის ტარიფი შედგება კომისიის მიერ ამავე საწარმოსთვის დადგენილი მიწოდების (უნივერსალური მომსახურების მიწოდების, საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ან ბოლო ალტერნატივის მიწოდების ტარიფი) და განაწილების ტარიფების, აგრეთვე, გადაცემის ტარიფის ჯამისაგან.“.

3. მე-10 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია გადაწყვეტილებით განსაზღვრავს შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ მიერ ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების საქმიანობის ფარგლებში შესასყიდი ელექტროენერგიის ოდენობას.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**მაია მელიქიძე**